ხელშეკრულება№ 23
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. ქობულეთი 11თებერვალი 2013 წელი

ერთის მხრივ, ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ლამარა ქათამაძის სახით და მეორეს მხრივ,ინდივიდუალური მეწარმე „რომან ჯინჭარაძე“ (შემდგომში “მიმწოდებელი”), წარმოდგენილი რომან ჯინჭარაძის სახით, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6. „მომსახურება“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მომსახურება/შეკეთება. (სათადარიგო ნაწილები) (შემდგომში „მომსახურება“) ფორმა №-3 ის შესაბამისად.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 200 (ორასი) ლარს .
3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.
4.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში „შემსყიდველი“ ჩაურიცხავს „მიმწოდებელს“ გაწეული მომსახურების ღირებულებას, რომელიც გაწეული მომსახურებისათვის დადგინდება შესაბამისი წესით გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტით.
4.3. „შემსყიდველი“ ანგარიშწორებას ახორციელებს მიმწოდებლის მიერ დეფექტური აქტის, გახარჯული ავტოსათადარიგო ნაწილების სიის და მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;
5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების მნე,რომელიც აფორმებს შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტს.

6. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

6. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1. მომსახურება განხორციელდება მიმწოდებლის მისამართზე.
6.2. მომსახურების მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2013 წლის 15 მარტამდე, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
ბ) მომსახურების დასრულებამდე გამოითხოვოს მისთვის საჭირო დოკუმენტაცია;

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ გაწეულის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს ავტომანქანების ავტო-ტექნიკურიმომსახურება, გასაწევი მომსახურების მოცულობის შესაბამისად.
ბ) შეასრულოს გამოვლენილი დეფექტის გამოსწორება „შემსყიდველი"–ს მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე, 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში;
გ) გააცნოს „შემსყიდველს" გაწეული მომსახურების შედეგები და გაითვალისწინოს მისი მოთხოვნები;
დ) მომსახურების გაწევის დროს გამოიყენოს ხარისხიანი საქონელი, ხოლო სამუშაო შეასრულოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირებმა, რის საფუძველზეც „მიმწოდებელი" იძლევა ნამუშევრის სიმტკიცეცა და ვარგისიანობის გარანტიას.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია მომსხურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
8.2. ხელშეკრულების 8.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს (ინსპექტირებას) შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების მნე.
8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება ყოველი უხარისხოდ გაწეული მომსახურების მთლიანი ღირებულების 100%–ის ოდენობის პირგასამტეხლო;
9.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
10.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 10.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ
10.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ფორს-მაჟორი

12.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.
12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

13. ხელშეკრულების პირობების და ღირებულების გადასინჯვა

13.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ დაიშვება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
13.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს "შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

14. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე.

15. სხვა პირობები

15.1. ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.
15.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება ,,მიმწოდებელთან'', ორი ეგზემპლარი _ „შემსყიდველთან"

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა ხელშეკრულება

ხელშეკრულება ძალაში შედის ხეშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2013 წლის 15 მარტის ჩათვლით.
17. „შემსყიდველი"–ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

17.1 „შემსყიდველი“–ს მისამართი: ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141;
17.2 „შემსყიდველი“–ს საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „ლიბერთი ბანკი“, ბანკის კოდი **LBRTGE22**, ა/ა; **GE64LBO115172300800000**, საიდენტიფიკაციო კოდი 446 951 790;
17.3 „შემსყიდველი“ – ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება

18. „მიმწოდებელი“–ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

18.1 „მიმწოდებელი“–სიურიდიული მისამართი: ქ. ქობულეთი,სოფელი კვირიკე;
18.2 „მიმწოდებელი“–სფაქტიური მისამართი: ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქუჩა №138;
18.3 „მიმწოდებელი“–ს საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „ლიბერთი ბანკი“, ბანკის კოდი **LBRTGE22**, ა/ა **GE05LBO112155918200000**, საიდენტიფიკაციო კოდი 61004047715;
18.4 „მიმწოდებელი“– ინდივიდუალური მეწარმე „რომან ჯინჭარაძე“

„შემსყიდველი“ – ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება

დირექტორი ლამარა ქათამაძე

„მიმწოდებელი“ – ინდივიდუალური მეწარმე „რომან ჯინჭარაძე“ რომან ჯინჭარაძე

ფორმა № 3

ინფორმაცია მომსახურების დასახელებაზე, რაოდენობაზე , ფასზე და ღირებულებაზე

№	დასახელება	ზ.ე	რაოდენობა	ფასი	თანხა
1	წინა სამუხრუჭე ხუნდი	კომპ	1	35	35
2	ჩართვის ქუროს დისკი	ც	1	45	45
3	სამუხრუჭე სითხე	ც	2	8	16
4	ქანჩი (გაიკა-ბოლტი)	ც	4	1	4
5	მომსახურება			100	100
	ჯამი				200

თანხა სიტყვიერად (ორასი) ლარი

ი/მ რომან ჯინჭარაძე